საქართველოს უზენაესი სასამართლო
SUPREME COURT OF GEORGIA

ფინანსური და საინფორმაციო მხარდაჭერა
NORLAG
ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისია საქართველოში

საზედამხედველო

საქმის ნომერი	362საზ.-2007	**შედეგი**	შესაბამისობაში მოვიდა ახალ კოდექსთან
თარიღი	24/04/2008		

გადაწყვეტილება/განჩინება

362საზ ქ.თბილისი
24 აპრილი, 2008 წელი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე)
მ. ოშხარელი, ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. დ-ს საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 8 მარტის განაჩენის გადასინჯვის თაობაზე.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

ქ.თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 8 მარტის განაჩენით დ. დ-ა, - დაბადებული ..... წელს, საქართველოს მოქალაქე, საშუალო განათლებით, უცოლო, ნასამართლობის არმქონე, - ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ ქვეპუნქტებით (2000 წლის რედაქცია) _ თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით სსკ-ის 184-ე მუხლის მე-2 ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 1 წლით, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე, საბოლოოდ დ. დ-ს მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. სასჯელის ათვლა მას დაეწყო 2000 წლის 13 მაისიდან.

ამავე განაჩენით დ. ს-ა, - - დაბადებული ..... წელს, საქართველოს მოქალაქე, საშუალო განათლებით, უცოლო, ნასამართლობის არმქონე, - ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“@, „ბ“, „გ“, „დ“ ქვეპუნქტებით (2000 წლის რედაქცია) _ თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით, სსკ-ის 184-ე მუხლის მე-2 ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე, საბოლოოდ დ. დ-ს მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. სასჯელის ათვლა მას დაეწყო 2000 წლის 13 მაისიდან.

მსჯავრდებული დ. დ-ა საჩივრით ითხოვს ზემომითითებული განაჩენის ამჟამად მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანას.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

განაჩენის ის ნაწილი, რომლითაც დ. დ-ს ქმედება დაკვალიფიცირებულია საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით (2000 წლის რედაქცია) და სსკ-ის 184-ე მუხლის მე-2 ნაწილით, უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან განაჩენის ამ ნაწილში გადასინჯვის ახლად გამოვლენილი სამართლებრივი გარემოება არ არსებობს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2007 წლის 23 მაისს შეტანილი ცვლილებით, რაც ძალაშია ამავე წლის 16 ივნისიდან, სისხლის სამართლის კოდექსიდან 184-ე მუხლის ამოღება, ანუ ამჟამად მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში ამ მუხლით გათვალისწინებული სპეციალური შემადგენლობის არარსებობა, არ ნიშნავს იმას, რომ ამ ქმედებას არა აქვს დანაშაულებრივი ხასიათი და დაკარგა საზოგადოებრივი საშიშროება.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2007 წლის 28 ივნისის განჩინების სახით უკვე არსებობს სასამართლო პრაქტიკა, რომლის მიხედვით,M სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლით ქმედების დასჯადობას ფაქტობრივად ითვალისწინებს გატაცების ხერხის მიხედვით საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შესაბამისი მუხლები.

მოცემულ შემთხვევაში მსჯავრდებულ დ. დ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება – ავტომობილის დროებითი გამოყენების მიზნით მართლსაწინააღმდეგო დაუფლება –

ᲘᲐᲓᲔᲮᲘᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲣᲝᲐᲓ, ᲐᲝᲐᲔᲝᲗᲒᲮᲘᲡ, ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲮᲘᲗ, ᲝᲝᲫᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲫᲘᲫᲘ ᲐᲝ ᲐᲝᲘᲡ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡᲐ და ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ – დანაშაული, დაკვალიფიცირებულია სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლის II ნაწილით (2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქცია), რაც ითვალისწინებს ორიდან შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთას, შეესაბამება სსკ-ის 178-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებს (ძარცვა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, არაერთგზის, სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ), რომელიც ითვალისწინებს 5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის კანონს, რომელიც ამკაცრებს სასჯელს, უკუძალა არა აქვს.

ამდენად, სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლის მეორე ნაწილით დაკვალიფიცირებული ქმედება სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს.

საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით (2000 წლის რედაქცია), რომლებიც ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობისათვის, სადგომში უკანონო შეღწევით, სასჯელის ზომად განსაზღვრული იყო თავისუფლების აღკვეთა ვადით ექვსიდან თხუთმეტ წლამდე, რის გამოც აღნიშნული ქმედება მიეკუთვნებოდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას.

ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები იმავე ქმედებისათვის სასჯელის ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე, რის გამოც იგი წარმოადგენს მძიმე დანაშაულს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ დ. დარჯანიას დანაშაულებრივი ქმედების კვალიფიკაცია სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით (2000 წლის რედაქცია), შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ამჟამად მოქმედი სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებთან, რადგან მოცემულ შემთხვევაში დანაშაულის სიმძიმის კატეგორია მსჯავრდებულის სასიკეთოდ იცვლება.

საქართველოს სსსკ-ის 567-ე მუხლის შესაბამისად, პალატამ საქმე სრული მოცულობით შეამოწმა და მიიჩნევს, რომ განაჩენი მსჯავრდებულ დ. ს-ს მიმართაც უნდა მოვიდეს შესაბამისობაში ახალ სისხლის სამართლის კანონთან, კერძოდ:

ზემომითითებული მოტივებით, მსჯავრდებულ დ. ს-ს დანაშაულებრივი ქმედების კვალიფიკაცია საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით (2000 წლის რედაქცია), შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ამჟამად მოქმედი სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებთან, რადგან მოცემულ შემთხვევაში დანაშაულის სიმძიმის კატეგორია მსჯავრდებულის სასიკეთოდ იცვლება.

განაჩენი დანარჩენ ნაწილში, მათ შორის მსჯავრდებულების – დ. დ-სა და დ. ს-ს მიმართ დანიშნული სასჯელის ნაწილში, უნდა დარჩეს უცვლელად.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

პალატამ, იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 567-ე მუხლით, 593-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ დ. დ-ს საჩივარი დაკმაყოფილდეს.

ქ.თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 8 მარტის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

მსჯავრდებულ დ. დ-ს დანაშაულებრივი ქმედების კვალიფიკაცია საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით (2000 წლის რედაქცია), გადაკვალიფიცირდეს ამჟამად მოქმედ სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებზე;

მსჯავრდებულ დ. ს-ს დანაშაულებრივი ქმედების კვალიფიკაცია საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით (2000 წლის რედაქცია), გადაკვალიფიცირდეს ამჟამად მოქმედი სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებზე.

განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად.

პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

<< უკან «წინა შემდეგი»

© 2011, საქართველოს უზენაესი სასამართლო. ყველა უფლება დაცულია.

ტექნიკური მხარდაჭერა IDEA DESIGN GROUP